ფსიქიკური ჯანმრთელობის, ბავშვობის ტრავმული გამოცდილებების, კონტროლის განცდისა და სტრესთან გამკლავების სტრატეგიებს შორის ურთიერთკავშირის კვლევა კრიზისულ და გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირების პერსონალში

მარიამ გვილავა

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:პროფესორი, ნინო მახაშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გვილავა

20.06.2026

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ ნინო მახაშვილს, პროფესიონალიზმისთვის, გულისხმიერებისა და მუდმივი მხარდაჭერისთვის. მისი რეკომენდაციები, შენიშვნები და კვლევის პროცესში გაწეული დახმარება მნიშვნელოვანი საფუძველი იყო ნაშრომის სრულყოფისა და კვლევის წარმატებით განხორციელებისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო კრიზისულ და გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირების პერსონალში ბავშვობის ტრავმულ გამოცდილებებს, კონტროლის განცდას, სტრესთან გამკლავების სტრატეგიებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის შესწავლა. კვლევაში მონაწილეობდა 257 რესპონდენტი. მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა ბავშვობის არასასურველი გამოცდილებების საერთაშორისო კითხვარი (ACE-IQ), კონტროლის განცდის სკალა (MIDI Sense of Control), სტრესთან გამკლავების სტრატეგიების კითხვარი (Brief COPE), გლობალური ფსიქოტრავმის სკრინინგი (GPS 2.0), დეპრესიის კითხვარი (PHQ-9) და გენერალიზებული შფოთვის სკალა (GAD-7). მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა აღწერითი სტატისტიკა, პირსონის კორელაციური ანალიზი, ცალმხრივი დისპერსიული ანალიზი (ANOVA) და იერარქიული მრავლობითი რეგრესია.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვობის ტრავმული გამოცდილებები მნიშვნელოვნად და ძლიერად უკავშირდება ფსიქიკური ჯანმრთელობის მაჩვენებლებს. ACE-ის მაღალი მაჩვენებელი ასოცირებული იყო შფოთვის, დეპრესიისა და ტრავმასთან დაკავშირებული სიმპტომების უფრო მაღალ დონესთან, ასევე ყოველდღიური ფუნქციონირების უფრო დაბალ მაჩვენებელთან. გამოვლინდა მნიშვნელოვანი კავშირები კონტროლის განცდის ქვესკალებსა და სტრესთან გამკლავების სტრატეგიებს შორის. კერძოდ, აღქმული შეზღუდვების მაღალი დონე დაკავშირებული იყო მალადაპტური გამკლავების უფრო ხშირ გამოყენებასთან, ხოლო მალადაპტური გამკლავება, ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებულ მაჩვენებლებთან. იერარქიულმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბავშვობის ტრავმული გამოცდილებების გავლენა ტრავმასთან დაკავშირებულ სიმპტომებზე ნაწილობრივ აიხსნება კონტროლის განცდით, სტრესთან გამკლავების სტრატეგიებით, შფოთვითა და დეპრესიით. ასევე დადგინდა, რომ 4–7 წლიანი სამუშაო სტაჟის მქონე თანამშრომლები ფსიქოლოგიური დისტრესის,

მალადაპტური გამკლავებისა და შეზღუდვების აღქმის შედარებით მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კრიზისულ და გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირების პერსონალის ფსიქიკური ჯანმრთელობა დაკავშირებულია არა მხოლოდ მიმდინარე პროფესიულ სტრესორებთან, არამედ ბავშვობის ტრავმულ გამოცდილებებთან, კონტროლის განცდასა და სტრესთან გამკლავების სტრატეგიებთან. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ფსიქოლოგიური შეფასების, ისე პრევენციული და მხარდამჭერი პროგრამების დაგეგმვის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ბავშვობის ტრავმული გამოცდილებები, ფსიქიკური ჯანმრთელობა, კონტროლის განცდა, სტრესთან გამკლავება, კრიზისულ და გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირების პერსონალი, დეპრესია, შფოთვა.

Abstract

The aim of the present study was to examine the relationships among adverse childhood experiences, sense of control, coping strategies, and mental health indicators among crisis and emergency response personnel. The study included 257 participants employed in crisis and emergency response services. Data were collected using the Adverse Childhood Experiences International Questionnaire (ACE-IQ), MIDI Sense of Control Scale, Brief COPE, Global Psychotrauma Screen (GPS 2.0), Patient Health Questionnaire (PHQ-9), and Generalized Anxiety Disorder Scale (GAD-7). Descriptive statistics, Pearson correlation analysis, one-way analysis of variance (ANOVA), and hierarchical multiple regression analysis were used to analyze the data.

The findings revealed that adverse childhood experiences were significantly and strongly associated with mental health indicators. Higher ACE scores were related to increased levels of anxiety, depression, and trauma-related symptoms, as well as poorer daily

functioning. Significant associations were also identified between the dimensions of sense of control and coping strategies. Specifically, higher perceived constraints were associated with greater use of maladaptive coping strategies, while maladaptive coping was linked to poorer mental health outcomes. Hierarchical regression analysis demonstrated that the relationship between adverse childhood experiences and trauma-related symptoms was partially explained by sense of control, coping strategies, anxiety, and depression. In addition, employees with 4–7 years of work experience exhibited comparatively higher levels of psychological distress, maladaptive coping, and perceived constraints.

The findings support the proposed integrated theoretical model and suggest that the mental health of crisis and emergency response personnel should be understood not only in relation to current occupational stressors but also in the context of adverse childhood experiences, sense of control, and coping strategies. The results provide an empirical basis for the development of trauma-informed psychological support and preventive intervention programs for high-risk occupational groups.

Keywords: adverse childhood experiences, mental health, sense of control, coping strategies, crisis and emergency response personnel, depression, anxiety.